გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

...ის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-ათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## რედაქციისაგან

გაზეთი „ივერია“ 1-ლ აგვისტოდგან წლის დამლევამდე ღირს 5 მან. 50 კაპ. მსურველს შეუძლიან ეს ფული ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს. (10—10)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა.

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვების სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ო. ტარანოვი.

(10—4)

ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში 8 აგვისტოს დილით იყო 9 კაცი და 4 დედაკაცი. ამ დღეს არავინ მიუყვანიათ. მორჩა 1 კაცი—მიკუნინი; გადაყვანილ იქმნა სხვა განყოფილებაში იაკულინი. 9 აგვისტოს დილით იყო 7 კაცი—და 4 დედაკაცი. ამ დღეს მიიყვანეს 1 კაცი—დავით საფაროვი (4 ნაწ., ცხენის რკინის გზის ერევნის სადგურის მოსამსახურე); მორჩა ორი კაცი—სუსანიძე და მაიერი; გარდაიცვალა 1 კაცი—მჭედლიშვილი. დილით 10 აგვისტოს იყო 5 კაცი და 4 ქალი.

მაჰმადიანთა დროებითს სახოლერო ფარდულში 8 აგვისტოს მიიყვანეს 2 კაცი: ზეინალ ალი-ოღლი (ყარაიაზიდგან ჩამოსული, 1 განყოფ.) და ქერბალაი - უსეინ - თალალ-ოღლი (აღტაგლიადგან მოსული); 9 აგვისტოს იმავე ფარდულში მიიყვანეს სალიმ-მამადი-ყული-ოღლი (მე-6 ნაწ.); დილით 1 აგვისტოს 4 ავადმყოფი იყო.

მეტეხის საპატიმროს საავადმყოფოში 8 აგვისტოს კარგად გახდა ტუსაღი მამად-ალი-ქალი-ოღლი.

ავად გახდნენ და შინა სწამლობენ: 7 აგვისტოს—ზაქარია მეგრელიძე (9 ნაწ., კრამიტის ქუჩა, სახ. № 24) და 8 აგვისტოს—ალექსანდრე არაქელიანცი (აკიმოვის ქუჩა, სახლ. № 9). გარდაიცვალნენ: 8 აგვისტოს ნიკოლოოზ ბეგიაშვილი, 7 წლისა, და ალექსანდრე ქორიძე; 9 აგვისტოს ალექსანდრე არაქელიანცი და 10-ს ზაქარია ბერელიძე.

ტფილისის მაზრის უფროსის მოხსენებით, 8 აგვისტომდე კვლავ ავად გახდა: სოფ. ავჭალაში 1, საგარეჯოში—3 და გარდაიცვალა 3; ახალსოფელში გარდაიცვალა 1.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება 8 აგვისტოდგან: არაგვაში ახლად აღარავინ გამხდარა ავად, მორჩა 2; ხოსპიაში ავად გახდა 2, უმურდოში 2, ხერთვისში 2; ხონდურში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; კარხში ავად გახდა 1, გარდ. 1, მორჩა 3; ორდისში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2, მორჩა 3; ვაჩიანში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 2; შადირავანში ავად გახდა 1, ჰანდურში 4, ბერენში 1, უმერში 1. მთელს მაზრაში ავადმყოფია: ქალაქად 1, მაზრად 46.

სიღნაღის მაზრის უფროსი იუწყება: ლაგოდეხში 1-დგან 7 აგვისტომდე ავად გახდა 7, გარდაიცვალა 2; საქობსში დაპატიმრებულ იქმნა ერთი ავადმყოფი, ლაგოდეხიდგან მისული; ჯუდაანის საზოგადოებაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1; სოფ. ბოდბისხევში ავად გახდა 1, გარდ. 1; სოფ. თიბაანში 7-დგან 9აგვისტომდე ავად გახდა 18, გარდაიცვალა 5; სოფ. ჯულაანში ავად გახდა 12, გარდ. 2.

ბორჩალოს მაზრის უფროსი იუწყება: სოფ. შულავერში 1-დგან 6 აგვისტომდე ავად გახდა 9, გარდ. 1, დარჩა (ამათ შორის ფერშლებიც) 8.

ახალქალაქის მაზრის უფროსი იუწყება: 5 აგვისტოდგან სოფ. ასპინძაში ავად გახდა 4, გარდ. 2, მორჩა 2, ავად აღარავინ არის; ლოშიხევში ავად გახდა 11, გარ. 3, მორჩა 1; ზემო ოშარაში ავად გახდა 5, გარდ. 1; ქვემო ოშარაში ავად გახდა 3: მუსხში ავად გახდა 15, გარდ. 6, მორჩა 5; ქ. ახალციხეში არავინ გამხდარა ავად.

დუშეთის მაზრის უფროსი იუწყება: 7 აგვისტოდგან სოფ. არანისში ავად გახდა 5, გარდ. 4, მორჩა 3; კარსულისკარში ავად გახდა 1, გარდ. 1; სოფ. დედებაანთკარში ავად გახდა 2, გარდ. 2; ჩირიუნთში ავად გახდა 1; წილკანში ავად გახდა 3, გარდ. 6; მუხრანში ავად გახდა 14, გარდ. 8.

გორის მაზრის ექიმი იუწყება: ახალქალაქში ავად გახდა 7, გარდ. 5, მორჩა 6, დარჩა 8; სოფ. ჩოჩეთსა, კოვნისხევსა, თელათგორსა და მეტეხში კვლავ აღარავინ გამხდარა ავად. სოფ. ლესში ავად გახდა 2. ხაშურის სადგურზედ ავად გახდა ფეხ-მძიმედ მყოფი, ზედამხედველის მეუღლე ორჯონიკიძისა და მუშა ჭანიშვილი, ორივენი გომის ფარდულში გაიგზავნენ.

## ახალი ამბავი

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად კიდევ მივიღეთ გიორგი ქართველიშვილისაგან 20 მან. ამ ფულისა გვქონდა 490 მან. 35 კ., ამითი შესდგა 510 მან. 35 კაპ.

*** ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი, რომელიც მთელის ერთის თთვის განმავლობაში ხოლერიან სოფლებში მოგზაურობდა ხოლერის წინააღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად, შაბათს, 8 აგვისტოს, ტფილისში ჩამოვიდა.

*** ბაქოში 6 აგვისტოს ხოლერით გარდაიცვალა 1, მორჩა 1, ავად არის 11; სამხედრო სამკურნალოში იმყოფება 25. გუბერნიაში ავად გახლა 54, გარდ. 34, მორჩა 13, ავად არის 29.

ქუთაისში 6 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდ. 3, ავად არის 5, გუბერნიაში ავად გახდა 2, მორჩა 3, ავად არის 19.

განჯაში 6 აგვისტოს ავად არავინ გამხდარა; გუბერნიაში ავად გახდა 111, მორჩა 77, გარდ. 61 ავად არის 122.

დაღესტანში 6 აგვისტოს ავად გახდა 470, გარდ. 229, მორჩა 249, ავად არის 1770.

სტავროპოლის გუბერნიაში 6 აგვისტოს ავად გახდა 390, გარდ 304, მორჩა 251.

ერევნის გუბერნიაში 5 აგვისტოს ავად გახდა 340, გარდ. 300.

ყარსში 5 და 6 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდ. 3 ავად არის 4.

ზაქათალის ოლქში 6 აგვისტოს ავად გახდა 21, მორჩა 2, გარდ. 7, ავად არის 56.

1—3 აგვისტოს კავკავში—ავად გახდა 72, გარდაიცვალა 57, მორჩა 33, ავად არის 99; პიატიგორსკში ავად გახდა 53, გარდაიცვალა 31, მორჩა 20, ავად არის 64; მოზდოკში ავად გახდა 5, გარდაიცვალა 7, მორჩა 4, ავად არის 21; გროზნოში ავად გახდა 18, გარდაიცვალა 30, მორჩა 10, ავად არის 62; ყიზლიარში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 12, მორჩა 3, ავად არის 6.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკმა ხოლერასთან საბრძოლველად გორის მაზრის სხვა-და-სხვა ადგილას ოთხი ექიმი და თოთხმეტი ფერშალი გაჰგზავნა.

*** როგორც ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, ქალაქის მოურავმა სთხოვა...

# ფელეტონი

### ჩვენი უთავბოლობა

ხალხის ქონება-გონების გამამდიდრებელი სათავე.

III*)

ყველა კარგი და პატიოსანი, მაგრამ ეხლა საქმე იმაშია, რომელი წყაროდგან უნდა შესდეს დეპო-კასების თანხა, რადგანაც პირველ დაწყებაში უვიცი ხალხი ყურსაც არ შეიბერტყავს ასეთის საქმეების დასაარსებლად და ათასში ერთი თუ გამოიღებს როგორმე სათანხო ფულს. მეორეც ეს, რა პირობით უნდა ჰქონდეს დეპოში შეტანილი სათანხო ფული ფულის პატრონს, ან რა საფუძველზედ უნდა დადგინდეს ალებ-მიცემის სამოქმედო წეს-რიგი, რომ საქმის მწარმოებლებმა ვერაში იხელმრუდონ, ან ვინ უნდა იყოს პასუხის მგებელი თანხის მოწილეების შესახებ, ალებ-მიცემის მწარმოებელნი, რომ სათოკე კაცუნები გამოდგნენ და ძირეულ თანხასაც-კი ჩაილულის წყალი დაალევინონ? გამოვარკვიოთ თავიდგან. გთხოვთ გულ-დადებით-კი მომისმინეთ, თორემ აბა რას გავიგებთ ერთმანეთისას, თქვენ რომ გულის ყური სხვაგანა გქონდეთ და ჩემს მოხსენებას ერთი ყური ისმენდეს და მეორე ისხლეტდეს.

წინაპირველად, ვიდრე ასეთი დეპო-კასები ქვეყანას მოეფინება, საჭიროა დაარსდეს სანიმუშო დეპო-კასა და იმის თანხის გამოღებაში უნდა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა მთელმა საქართველოს ინტელიგენციამ: ყველა წოდებისა და სამსახურისამ ქალმა თუ კაცმა, ვისაც-კი მწარედ დაჩაგრული მოძმე-მოყვასისათვის გული შესტკივა; მშობელის ქვეყნის წარმატება თავის წარმატებად მიაჩნია და სიტყვით სწორე და საქმით კუზა ჭირივით ეჯავრება. აი აქ უნდა გამოიჩინონ ქვეყნის სიყვარული თვით სათავად-აზნაურო ბანკებმაც და აღმოუჩინონ ნივთიერი დახმარება პირველ ფეხის ადგმაშივე ასეთს საქვეყნო საქმეს ქვეყნის გამოსაფხიზლებლად. „ქვეყნისა და მშობელ საზოგადოების სამსახური მარტო ისკი არ არის, რომ წესიერად აწარმოვონ ბანკის ერთ გვარი და ერთფერი მიწერ-მოწერა საქმეები, არამედ ის, რომ აზრიანად, მხნედ ჩაერიონ ჩვენ მცირედ-მომართულს ცხოვრებაში და მის განკარგებას ხელი შეუწყონო“. მშვენივრად ამბობს ერთი ჩვენი საპატიო პუბლიცისტი.

დასაწყისში სანიმუშო დეპო-კასას ეყოფა თანხად 20,000 მანათი. თანხის ფულად ერთის თუმნიდგან დაწყებილი, ვისაც რა ესურვებოდა, იმდენს გამოიღებდა. თანხის ფულის მონაწილეს ანუ სამრევლო დეპოს დამხმარებელს წევრს მიეცემოდა ათის წლის ვადით ობლიგაცია და ყოველ წლის ბოლოს მიიღებდა მანათში 5⁰/₀-ტს; თავნს-კი—ერთი თუმანი იქნებოდა, ათი, თუ ასი—ობლიგაციის ვადაზედ წინ ვერ გამოითხოვდა, მხოლოდ შეიძლებოდა ობლიგაცია მიეყიდნა მეორესათვის. ათის წლის განმავლობამდე ხსენებული დეპო შეიდგენდა თანხას ყოველ-წლიურ სათადარიკო თანხიდგან და ამ ხნის განმავლობაში თვით დეპოს მრევლიც სიხარულით გამოიღებდა სათანხო ფულს, რა-კი საქმით დარწმუნდებოდა, რომ დეპო-კასა მისის სილატაკის უებრად გამქარწყლებელი მალამო იყო. გარდა ამისა, შვიდიოდე წლის განმავლობაში იმდენი ფული შეუდგება ყველა სოფელს საზოგადო მალაზიიდგან გასყიდულ სულადისა, რომ თამამად შეეძლება იმ საერთო ფულით საერთო დეპო-კასა დაიარსოს. სანიმუშო დეპოს ყოველ-წლიური წმინდა მოგებაც მოჰხმარდებოდა ყოველ-წლივ მრევლის შვილებისათვის დეპოსაგან დაარსებულ სკოლას და სხვა საკეთილო და საქველმოქმედო საქმეებს, რადგანაც სიმართლე მოითხოვს რომ საყოველთაო ალებ-მიცემის ნაყოფი საყოველთაო კეთილს საქმესვე ჰხმარდებოდეს და არა რამდენისამე წევრის ჯიბე-მუცელს, როგორც ეხლანდელი დეპო-კასები და სააქციონერო დაწესებუ-

*) იხ. „ივერია“, № 164.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა ტფილისის გუბერნატორს, რომ სამხედრო სასწავლებლებში სწავლა ცოტა გვიან დაეწყოთ, ხოლერობის გამო. ამ დღეებში ბ-ნმა გუბერნატორმა აცნობა ქალაქის მოურავს, რომ მთავარ-მმართებლის თანაშემწემ კეთილ ინება და გამოსცა ბრძანება, რომ ტფილისის საფერშლო სასწავლებელში სწავლა დაიწყოს 15 სექტემბერსაო. კარგი იქმნებოდა, რომ ასეთი ბრძანება გამოსულიყო სხვა სამხედრო სასწავლებელთა შესახებაც.

*** ქალაქის სასანიტარო ექიმმა სტეფანოვმა, 10 ამ თთვეს, გასინჯა სამინერალო წყლები ზემელისა, რომელსაც ჰყიდიან გოლოვინის პროსპექტზედ, პირველ კლასიკურ გიმნაზიის სიახლოვეს და რამდენსამე ბოთლში აღმოჩნდა ჯიანჭველები. სულ 194 ბოთლი საეჭვოდ იცნო ექიმმა და გაჰგზავნა საქალაქო ლაბარატორიაში. შემდეგ გასინჯა თვით ქარხანა ამ წყლებისა და აღმოჩნდა, რომ იქ ბოთლებს ქის წყლითა ჰრეცხავენ. ექიმმა სტეფანოვმა დაბეჭდა ჰა და შეადგინა ოქმი, რომ სამართალში მისცეს პატრონი ქარხანისა.

*** ტფილისის მეორე განყოფილების ბოქაულის თანაშემწემ ბ-ნ მორგაევსკიმ მეორე საქველ-მოქმედო ლატარიის ერთი კუპონით მოიგო 5000 მან. ეს კუპონი რუსეთში უყიდნია. ბ-ნ მორგაევსკის სულ ოთხი კუპონი ჰქონია სხვა-და-სხვა ბილეთისა.

*** 7 აგვისტოს გაემგზავრა ბაქოში მკურნალი გ. პ. ზაკსენდალი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოგზავნა ხოლერასთან საბრძოლველად.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ტფილისის მეათე ნაწილში, მალაკნების ქუჩაზედ (მადერის სახლი № 45) ანცერკას ლუდხანაში ყოველ ღამე იმართება ქაღალდის თამაშობა. მიდის საწყალი კაცი ქაღალდის სათამაშოდ და უკანასკნელს პურის ფულს აქ აგებს. სასურველია, რომ პოლიციამ ამ ლუდხანას ყურადღება მიაქციოს და სასტიკად აკრძალოს იქ ქაღალდის თამაშობა.

*** რაჭა: 25 ივლისი: როგორც უკვე მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, 21-ს ივნისს, სოვ. ტოლაში ერთი უბედური შემთხვევა დატრიალდა: გლეხმა ბათლომე საჩინოს ძე ცხურავაშვილმა რევოლვერით მოჰკლა თავის სახლის-კაცი იასონ ცხურავაშვილი. მკვლელი და მისი ამხანაგი რაჟდენ ცხურავაშვილები მაშინვე დააპატიმრა ადგილობრივმა მამასახლისმა, მაგრამ ძლიერ ცოტა ხნით. რამდენისამე დღის შემდეგ სრული თავისუფლება მიანიჭა და ისე არხეინად არიან თავიანთ სახლებში, თითქოს ბუზიც არ შემოჰკვდომოდათ ხელში;! ამდენი ხანი გადის და არც გამოძიება და არც ექიმისაგან მიცვალებულის ნახვა და შემოწმება არსაიდგან სჩანს! ადგილობრივმა პოლიციის ბოქაულმა, განკარგულება მოახდინა, რომ მიცვალებული ღრმათ არ დაემარხათ, ვიდრე ექიმი და სასამართლოს გამომძიებელი არ შეამოწმებდა. ამის გამო კუბო ჩასდგეს სამარეში, ზევიდგან ფიცარი დააფარეს, ცოტაოდენი მიწა მიაყარეს და დასტოვეს. აქამდის ამ საშინელს სიცხეებში მიცვალებული ასეა მიტოვებული! მივაქცევთ მათს ყურადღებას, ვისიც რიგია, რომ თუ მაინც და მაინც არ შეამოწმებენ და სულ უყურადღებოდ დასტოვებენ ამ საქმეს, მიცვალებულის გვამი მაინც დაამარხვინონ ისე, როგორც წესია და მლოცველი ხალხი დაიხსნან ეკკლესიაში ყოფნის დროს სუნისა და მომწამვლელ ჰაერის ყნოსვისაგან.

*** მეჯვრისხევი, 30 ივლისი. ჩვენც გვესტუმრა ხოლერა. 30-ს ივლისს მან იმსხვერპლა ოთხი კაცი, წინა დღეებშიც ერთი და რამდენიმეც ავად არის! კარგი იქნება რომ პოლიციამ ერთს კვირა დღეს შეჰკრიბოს გლეხ-კაცობა, დარიგება მისცეს გაამხნეოს. სიხუფთავესაც დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ხოლერასთან პირველი საბრძოლველი წამალი სისუფთავეა. აქ თუმცა სასანიტარო რაზმიც დაწესდა, მაგრამ დღეს ისევ ის უსუფთაობა მძგინვარებს და სანიტარები-კი სადღაც მიმალულან.

26-ს ივლისს წმიდა გიორგის (უსანეთის) ეკკლესიის მღვდელმა მ. ზაქარია გამრეკელმა წირვის შემდეგ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც ხალხს ამხნევებდა ხოლერასთან საბრძოლველად, და შემდეგ წირვისა ლიტანიით შემოუარა მეჯვრისხევის უმთავრეს ქუჩებს.

*** იქიდამვე: აგერ ოც-და-ხუთს მკათათვეს აქეთ აქაც ხოლერა გაჩნდა, შვიდი-რვა კაცი მიწამ შეჭამა და ქვეყანაზედ არავისთვის გაგვიგებინებია, რომ იქნება გვიპატრონოს ვინმე, და არც თვით ჩვენ მიგვიღია ხოლერის წინააღმდეგ რაიმე საშუალება. არა გვყავს ექიმი, არც ფერშალი, არა გვაქვს სადეზინფექციო წამალი, არა გვყავს დაყენებული კაცები, რომ უცხო ადგილიდგან ხოლერიანი მომავალი ავადმყოფი სოფლად არ შემოუშვან, არა გვაქვს ამორჩეული ადგილი მიცვალებულების დასასაფლავებლად, არა გვყავს კაცები, რომ ავადმყოფს უპატრონონ და გარდაცვალებული საფლავს მიაბარონ, არა გვაქვს უბრალო ქოხმახი, რომ უპატრონო ავადმყოფი იქ დავაწვინოთ. თავად-აზნაურობამ, სამღვდელოებამ და შიგა და შიგ გლეხ-კაცობამაც ოც-და-ათი თუმანი გაიწერეს, ოღონდ ფერშალი და წამლები მაინც გვიშოვეთო, მაგრამ აქამდის არაფერი ამბავია. თუ ფერშალი არა, აძ ერთი კვირის განმავლობაში წამალს ხომ მაინც მოატანინებდა. ესე უწამლობა გაგონილა?! ამასობაში აქაური სოფლები უწმინდურების ბუდეა, წყლის რუებში ბაკების წუმპეები გადის, ნაგავით და ხშირად განავალით არის სამსე, მთელი დღე საქონელი და ბატი ურევს და ამღვრევს ნაგვიანს წყალს, ათასი ფლას-ფულასი ყრია შიგ; ქუჩები, გზები, ეზოები, და უფრო მიკუნჭული ადგილები სიბინძურით, ნაგვით, ტალახით და წუმპეებით არის სავსე.

*** სურამი; ექსპერტმა საფილოქსერო დასისამ ბ-ნ ფირაულოვმა, და ბ-ნთ ზავაროვმა, დანდუროვმა, შათირიშვილმა და მიხაელიანცმა მოიწვიეს სურამის სამხედრო სამკურნალოს ექიმი ბ-ნი ფონ-კრუზე, რომელმაც აუხსნა, როგორ უნდა მოუარონ ხოლერიან ავადმყოფებს და როგორ უნდა მოახდინონ დეზინფექცია, და მისცა ამის შესახებ მოწმობა, რომელიც ბ-ნმა ფირალოვმა გამოგზავნა ტფილისის გუბერნატორთან და სთხოვა, ნება მოგვეცი ხოლერიან ავადმყოფთა წამლობისა და დეზინფექციის მოხდენისაო. ბ-ნმა გუბერნატორმა მაშინვე მისწერა სამკურნალო განყოფილებას, რომ საფილოქსერო დასს აღმოუჩინოს შემწეობა და გაუგზავნოს სადეზინფიქციო და სხვა წამლები.

*** ბათუმი: ხოლერის დიდი შიში ჰქონდა აქაურს მთავრობას და დიდი ღონისძიება მიიღეს იმის საწინააღმდეგოდ. ქალაქი გაასუფთავეს, სასანიტარო დასები დააარსეს, ქართველთ მაჰმადიანთ მხრით ამოარჩიეს ქართველი მაჰმადიანი, ძველი თავადიშვილის გვართაგანი, სულეიმან-ბეგ პირმსახურის ძე. ეს კაცი შეგნებული ქართველია და დიდად მეცადინე თავის თანამოძმე ქართველ მაჰმადიანებისთვის. ქართველ მაჰმადიანებმა ეს კაცი ამოირჩიეს და მთავრობამაც ეს დანიშნა. ამ პატივცემულმა ქართველმა ბევრს ქართველს მაჰმადიანს დაუდინჯა გული, დაარწმუნა, რომ სუფთად იცხოვრეთ, ცუდს ნურასა სჭამთ და ხოლერისა ნუ გეშინიანთო. მუდამ დღე დადის ქართველ მაჰმადიანებში და თვალ-ყურს ადევნებს. ბათუმში წელს ხილის შემოტანა სასტიკად აკრძალეს და ამის მეოხებით წელს აქეთ აღარავის აციებს. რაც აქ ქარხნებია, მუშა ხალხი და სხვანი, იმათში ერთ კაცსაც ვერ ჰნახავთ, რომ ციებ-ცხელებით იყოს ავად, უამისოდ-კი ყოველ წლობით აუარებელი ხალხი ხდებოდა ავად. აქეთ ხილი ძალიან ბევრია, ბათუმშიაც ბევრი შემოაქვთ, ძლიერ იაფად ჰყიდიან, მუშა ხალხიც ყიდულობს და მით მუშებს ციებ-ცხელება ემართება. წელს-კი ეს ასე აღარ არის და მერმისაც თუ ასე იქმნა, მაშინ ბათუმში ციებ-ცხელება, ძირიანათ თუ არა, საკმარისად მაინც მოისპობა.

*** სოფ. შილდა (თელავის მაზრა): 8—9 თთვე იქნება, რაც სოფ. შილდაში ყვავილი მძვინვარებს და მუსრს ავლებს დიდს თუ პატარას. დღესაც ბევრია ჩაღოგინებული და ამათ თანდათან სხვებიც ემატებიან. ყვავილს ფესვი მაგრადა აქვს გადგმული და შილდელებისათვის-კი არსად მკურნალია და არსად ფერშალი, რომ ყმაწვილებს აუცრან მაინც. ყვავილს არ დააჯერა შილდელები, ახლა მოჰყვა „ხოლერინა“. პირველად ასტკივა თუ არა კაცს მუცელი, ფაღარათობა მოსდევს, ასე რომ ეს სენი დღითი-დღე ფეხს იდგამს.

*** სიღნაღი: 2 აგვისტოს აქ მოვიდა ხოლერასთან საბრძოლველად გამოგზავნილი მკურნილი ბ-ნი უმიკაშვილი რამდენიმე ფერშლით. 3 აგვისტოს დანიშნული იყო საგანგებო კრება, რომელსაც დაესწრნენ: თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. ანდრონიკაშვილი, მაზრის უფროსი, მკურნალნი: უმიკაშვილი, ნაუმენკო და მიტროფანოვი. კრებამ გადასწყვიტა, სიღნაღის მაზრა გაჰყოს სამ ნაწილად და თითო ნაწილში თითო მკურნალი გაჰგზავნოს.

გაზეთ „Каспій“-ის სიტყვით, ბაქოს სადგურს შემოსვლია ივნისისა და ივლისის თთვეებში მგზავრების ბილეთებისა და საქონლის გადატანისაგან 777,663 მან. და 74 კ.

*** ჟურნალ „Вѣстн. Винодѣл.“-ს უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ფრიად საყურადღებო ამბავი: რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიჰმართა პარიჟის საფილოქსერო უმაღლეს კომისიის წევრს, პროფესორს მარიონას და ბუდაპეშტის მკურნალს გორვარტს და სთხოვა, ამ წლის მარიამობისთვეში ბესარაბიისა და ამიერ-კავკასიის ვენახები დაათვალიერეთო და თქვენი აზრი შეგვატყობინეთ ვენახების ფილოქსერისაგან წამლობის შესახებაო.

*** 9 აგვისტოს, ნაშუადღევის $3\frac{1}{2}$, საათზედ მჭედლების ქუჩაზედ იოსებ ბერიშვილი ალექსი ალავიძეს წაეჩხუბა და დანით დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს, დაშავებული-კი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს მეორე მალაკნის ქუჩაზედ ივანე ბელუსოვის საჯინიბოდგან სოფელ ლილოს მცხოვრებელმა სამსონ სიმონის ძემ მაღალაშვილმა 400 მან. ღირებული ორი ძროხა მოიპარა, მაგრამ ავჭალის ქუჩაზედ პოლიციელი ივანე მულდარაშვილი შეხვდა და შეიპყრო დამნაშავე. მაღალაშვილთან სხვებიცა ყოფილან, მაგრამ ჯერ ვერ იპოვნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**სოფ. ტეზერი**, 1 აგვისტო. ეს უბედურება მით უფრო გულსაკლავი და გულ-დამწველია, რომ ჩვენ, ვისაც ცოტა ძალაცა და შეძლებაც ნებას გვაძლევდა მიგვეღო შესაფერი საშუალებანი ამ საშინელის სენის გავრცელების წინააღმდეგ, ჩვენ გავრბოდით და ვიმალებოდით. უკუვაგდეთ მოვალეობაც, და კაცური კაცობაც. განა ჩვენს ახალგაზდობას, ინტელიგენციას, თავად-აზნაურობას, რომელნიც ერთმანეთის ქიშპობაში გამჭრიახობასაც და ძალასაც ვიჩენთ და ჭორიკანა დედაკაცებსავით ვწუწუნობთ, რომ სამოქმედო ასპარეზი ისა გვაქვს, რომ გულხელ-დაკრეფილი იჯდა და ღვთის ანაბარა დასტოვა ეს უნუგეშო ხალხი! რაც უფრო უკვირდება ადამიანი ამ სენის გავრცელებას, მით უფრო

---

ლებანი სჩადიან ამას. ერთის სიტყვით, მრევლი თავისაგან საერთო სკაში წლის-წლობამდის წვრილ-წვრილად შეტანილს ღალას მუდამ-წელს თითონვე მიიღებს უკან თაფლის ზღვად ქცეულს; წვეთით ზღვა შესდგებაო, ანდაზაც კვერს მიცემს და მემოწმება.

სანიმუშო დეპოს სათანხო ფული შეიკრიბებოდა ტფილისის გაზეთების რედაქციებში და პროვინციებშიაც იქნებოდნენ საამისოდ დანიშნულნი დეპოს დამხმარებელნი ანუ აგენტები, რომელნიც დრო-გამოშვებით აცნობებდნენ ორიოდე სიტყვით რომელსამე დასახელებულ რედაქციათაგანს: მავანმა და მავანმა ამდენი სათანხო ფული მომაბარეს მავან ალაგას დასაარსებელ სანიმუშო დეპო-კასისთვისო. ბოლოს, როდესაც რედაქციებში და აგენტებთან შეიკრიბებოდა ნახევარი ნაწილი თანხისა, ე. ი. 10,000 მანათი, მაშინ ჩვენის ქვეყნის მოწინავე კაცები ამოირჩევდნენ საქმის მცოდნე კეთილ-საიმედო კაცს სანიმუშო დეპო-კასის მოთავე-ზედამხედველად თავისის თანაშემწეთი, დაამტკიცებინებდნენ მთავრობას წესდებასა, დაურიგებდნენ პროცენტიან ობლიგაციებს თანხის მოწილეებს, ამასობაში მეორე ნაწილი თანხისაც შესდგებოდა—და სანიმუშო დეპო ახალის წისქვილის ჩარხივით დატრიალდებოდა მრევლის საკეთილდღეოდ და ქვეყნის გამოსაფხიზებლად. ასეც შეიძლება, რომ ჯერ ობლიგაციები გამოიცეს, ხელის მოწერა გაიმართოს და მერე ფულები შეიკრიბოს, მაგრამ ერთის თუმნის სარგებელი იმდენს არას შეადგენს, რომ ორი და სამი თთვით წინ შეტანას დაერიდნენ და საქვეყნო საქმის საქმით განცხოვლებას ძმურად მხარი არ მისცენ, მხოლოდ თუმანზედ მეტ სათანხო ფულის გამომღებლებს შეჰშვენოდათ თავისი სურვილი ხელის მოწერით გამოეცხადებინათ გაზეთის შემწეობით. ერთის სიტყვით, ასეც შეიძლება და ისეც, თუ გული გულობს და ყველანი სიტყვით სწორე და საქმით კუზა არ გამოვდგებით საქვეყნო საქმეში, და არც ასე შეიძლება და არც ისე, თუ... ეჰ! დარჩეს.

ვსთქვათ, სიტყვაზედ, დაარსდა სანიმუშო დეპო—და ადუღდა და გამოდის წესრიგიანი აღებ-მიცემა. გაიარა წელიწადმა და დეპომ სკოლაც დაუარსა მრევლს და დიდი ნდობა და სიყვარულიც დაიმსახურა ხალხისა. უეჭველია, მაშინ ყველა მაზრაში გამოჩნდებიან ქვეყნის გულ-შემატკივარნი თითო-ოროლა და დაუწყებენ ხალხს თავ-გამოდებულ რჩევა-დარიგებას: ხალხო და ჯამაათო, გვეყო ამდენი უთავბოლობა, რაზე ვეღუპინებით საჰოკე მოვაჭრე-მოვახშეებს, მოდით, შევაფურთხოთ ეშმაკს, ვახსენოთ ღმერთი და ჩვენც დავიარსოთ მავანი სანიმუშო დეპო-კასსის მსგავსი დეპო-კასა თუ ჩვენის თავისა და შვილებისათვის კარგი გვინდაო. თქმა არ უნდა, რომ კეთილის კაცების ასეთი თავ-გამოდებული მხნეობა თავისას გაიყვანს და კეთილ განზრახვას კეთილს საქმით დააგვირგვინებს, რადგანც „მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან, განხეთქოს მთა და გორაი“ არ გატყდება ეს თქმულება. მხოლოდ საჭიროა, და ზნეობრივადაც მოვალენი არიან, საქმის შედგომის უმალვე მთელმა მაზრის შეგნებულმა თავად-აზნაურობამ, სამღვდელოებამ და ყველა საპატიო სამსახურის კაცმა მხურვალე თანაგრძნობიანი მონაწილეობა მიიღონ თავიანთ მაზრის მომავალ დეპო-კასის სათანხო ფულის გამოღებაში, რომ ამითი ახალ საკეთილო საქმესაც ფეხი აადგმევინონ და ხალხიც გამოაფხიზლონ და წააქეზონ ასეთის დეპო-კასების გასამრავლებლად. თითოეულს მაზრაში თითო წესრიგიანად დაყენებული დეპო-კასაც საკმარისი იყო წასაქეზებელ მაგალითად, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ხალხს თითონვე გამოეღო თავის ჯიბიდგან სათანხო ფული და ყოველს სოფელს საკუთარი აღებ-მიცემის დეპო-კასა ჰქონოდა და ყოველს მაზრას თავის მაზრის ქალაქში—ცენტრალური დეპო, საიდგანაც იყიდდნენ საქონელს მაზრის ყველა სახალხო დეპოები. ხოლო წინა-პირველად გვიჭირს საიმედო მამა-მთავარ დეპოს შექმნა, თორემ მისი სახისანი ბოლოს ყველგან დაიბადებოდნენ და გამრავლდებოდნენ, ვითარცა ძენი პირველ მა-

და უფრო რწმუნდება, რომ მიზეზი უბედურობისა ხალხის უვიცობაა, მთლად უყურადღებოდ მიტოვება. არც მორიდება, არც შიში ხალხს არა აქვს, მანამ სამს-ოთხს კაცს ზედი-ზედ სიკვდილი არ გამოჰგლეჯავს ხელიდგან. ამას შემდეგ-კი ხალხი გარბის და გარბის ისე, რომ სახლს გამოუკეტავად სტოვებს. აქ ადმინისტრაცია ვერაფერს გააწყობს, აქ გულ-შემატკივარი ადამიანი უნდა, რომელიც ყოველ დღე უნდა ეჩიჩინებოდეს და აფთხილებდეს ხალხსა. სამწუხაროდ, ეს გულ-შემატკივარნი დამრიგებელნი არსადარიან.

განა სოფლელებს რომ დამრიგებელნი ჰყავდეთ, ის დაემართებოდათ, რაც ეხლა ემართებათ: ხოლერიანი ალაგიდგან მივიდა ვიღაც ქალი აბაშიძესთან. მეორე დღესვე გახდა ქალაში თავ. ნიკოლოოზ აბაშიძე ავად და გარდაიცვალა. ეს დედაკაცი ამოვიდა ტეზერში და აქაც იმ სახლში, სადაც ამოვიდა, გახდნენ ავად ორი და ერთი კიდევ ავად არის, ორჯონიკიძე ალექსის შვილი: აქედგან სენი გადიტანეს გალმა ტეხურში, სადაც დღეს ექვსი კაცია ავად. ეს ამბავი მოხდა ორი-სამი დღის განმავლობაში, ორიც საეჭვოდ არის ავად ყიფიანთ უბანში (პატარა ტეზერში). როგორც ჰხედავთ, ერთმა ადამიანმა ოთხ სოფელს მოსდო ავადმყოფობა და სოფელმა სიამოვნებით იხმარა საშუალებანი, რომელიც-კი ურჩიეს. არამც თუ უბრალო სასანიტარო წესები იყო დადგენილი, არამედ სოფ. ბეკამ გამოაცხადა, რომ ორმოც თუმნამდის გადავიხდით, ოღონდ ერთი ექიმი მოგვაშველეთო. შეიძლება ამ საშუალებით გაუმაგრდეს სოფელი ჭირსა, მაგრამ პატრონი-კი რომ ჰყოლოდათ, უფრო ადრე დაიწყებდნენ თავის თავისთვის ფიქრსა და გადარჩებოდნენ კიდეც სენს.

გამოღმა ტეზერში-კი ხმარობენ საშუალებას, რომ სენი არ გავრცელდეს, მაგრამ გაღმა ტეზერში ჯერ არავითარი საშუალება არ უხმარიათ. სამი დღეა, რაც აქ ავადმყოფები აღმოჩნდნენ და არც ადმინისტრაცია, არც ექიმი იქ არ ყოფილა; თუმცა ამ სოფლის მდებარეობა და მოსახლეთა სიმჭიდრე ისეთია, რომ თუ მალე არ მიეშველნენ, მთელს სოფელს ერთბაშად მოედება სენი.

ვათავებ ამ წერილს და კვლავ ვიმეორებ, რომ ახალგაზდობა უეჭველს სარგებლობას მოუტანს ხალხს მარტო თავისის მათ შორის ყოფნით და დარიგებით, მით უფრო, რომ ადმინისტრაცია სიამოვნებით შეუწყობს ხელს. სირცხვილია ჩვენთვის, რომ უცხო ადამიანები, 14—15 წლის შეგირდი-ფერშლები, სიცოცხლეს უბრუნებდნენ ჩვენს ძმებს, ჩვენ სისხლსა და ხორცს და ჩვენ-კი გულგრილად შევსცქეროდეთ იმათ სიკვდილს, ვისიც კეთილ-დღეობა და ბედნიერებაც ჩვენ საკუთარ ბედნიერებად უნდა მიგვაჩნდეს?

პავლე ყიფიანი

# რუსეთი

პეტერბურგში 2—3 აგვისტოს ავად გახდა ხოლერით 44, მორჩა 5, გარდაიცვალა 9.

მოსკოვში 1 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 5, მთელს გუბერნიაში ავად არავინ გამხდარა.

ასტრახანში 1 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, მორჩა 17; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 305, გარდაიცვალა 180, მორჩა 211.

ვლადიმირის გუბერნიაში 1 აგვისტოს ავად გახდა 2.

ვარონეჟში 1 აგვისტოს ავად გახდა 40, გარდაიცვალა 15.

ეკატერინოსლავსკის გუბენიაში 1 აგვისტოს ავად გახდა 46, გარდაიცვალა 15, მორჩა 16.

ყაზანში 1 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1, მორჩა 13; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 42, გარდაიცვალა 42.

კოსტრომაში 31 ივლისს ავად არავინ გამხდარა; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 4.

კურსკში 31 ივლისს და 1 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 6.

ნიჟნი-ნოვგოროდში 2 აგვისტოს ავად გახდა 34, გარდაიცვალა 17, მორჩა 36; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 54, გარდაიცვალა 22, მორჩა 13.

ორენბურგში 1 აგვისტოს ავად გახდა 109, გარდაიცვალა 74; მთელს გუბერნიაში 31 ივლისს ავად გახდა 17, გარდაიცვალა 16.

პენზაში 1 აგვისტოს ავად გახდა 50, გარდაიცვალა 22, მორჩა 14; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 26, გარდაიცვალა 8, მორჩა 21.

პერმში 1 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 84, გარდაიცვალა 44.

პოლტავას გუბერნიაში 31 ივლისს ავად გახდა 2.

რიაზანში 1 აგვისტოს ავად გახდა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 17, გარდაიცვალა 11.

სამარაში 1 აგვისტოს ავად გახდა 35, გარდაიცვალა 22, მორჩა 52; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 357, გარდაიცვალა 113, მორჩა 117.

სტავროპოლში 1 აგვისტოს ავად გახდა 55, გარდაიცვალა 21, მორჩა 19; ქ. ცარიცინში 31 ივლისს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 6, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 688, გარდაიცვალა 369.

სიმბირსკში 1 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდაიცვალა 10; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 378, გარდაიცვალა 214.

ტამბოვსკის გუბერნიაში 1 აგვისტოს ავად გახდა 148, გარდაიცვალა 57, მორჩა 41.

უფაში 31 ივლისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 59, გარდაიცვალა 37.

ხარკოვში 1 აგვისტოს ავად გახდა 2, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 62, მორჩა 37.

იაროსლავში 1 აგვისტოს ავად გახდა 12, გარდაიცვალა 10, რიბინსკში ავად გახდა 2, მორჩა 3.

ნოვოჩერკასკში 1 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 6, მორჩა 4;

ტაგანროგში ავად გახდა 33, გარდაიცვალა 9, მორჩა 17; ქ. როსტოვსა და ნახიჩევანში (დონისა) ავად გახდა 84, გარდაიცვალა 46, მორჩა 90; მთელს ოლქში ავად გახდა 621, გარდაიცვალა 399, მორჩა 355.

ყუბანის ოლქში 31 ივლისს და 1 აგვისტოს მუდამ დღე ორთა შუა რიცხვით ავად ხდება 891, კვდება 415.

სტავროპოლში 29 ივლისს და 1 აგვისტოს ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 613, გარდაიცვალა 453.

ომსკში 1 აგვისტოს ავად გახდა 26, გარდაიცვალა 13; აკმოლინსკისა, სემირეჩინსკისა და სემიპალატინსკის ოლქებში ავად გახდა 43, გარდაიცვალა 28.

ასხაბადში 26—27 ივლისს ავად გახდა 90, გარდაიცვალა 85; იმიერკასპიის მხარეს ავად გახდა 83, გარდაიცვალა 43.

# დეპეშა

8 აგვისტო

**პეტერბურგი.** დღეს იწყება პეტერბურგში საერთაშორისო სარკინის გზო კონგრესი.

პეტერბურგში 6 და 7 აგვისტოს ავად გახდა 92, გარდაიცვალა 13, მორჩა 5.

**ნიჟნი ნოვგოროდი.** რუსეთის მაუდი წარსულ წელთან შედარებით 24%-ით ძვირად ისყიდება; შაქარი და შაქრის ფხვნილი მოსკოვის ფასით ისყიდება, გზის ხარჯის დამატებით. კურდღლის ტყავი კარგად იყიდება, ციმბირის კურდღლისა ცუდად; წითელ მელიას ხორცი საზღვარ-გარეთის ფასად ისყიდება, 15% უფრო ძვირად შარშანდელთან შედარებით; სპირტეულის ვაჭრობა მაგდენად ვერაფრად მიდის.

**ბერნი.** გრინდველვალდში 90 სახლი დაიწვა; 400 ადგილობრივი მცხოვრებელი ულუკმა-პუროდ დარჩა; 200 სხვა ქვეყნებიდგან მოსულნი, რომელნიცა სასტუმროში სცხოვრობდნენ, სრულიად უავეჯოდ დარჩნენ.

9 აგვისტო

**პეტერბურგი.** პეტერბურგში 7 და 8 აგვისტოს ავად გახდა 74, გარდაიცვალა 22, მორჩა 39; მთელს გუბერნიაში 6 აგვისტომდე კვლავ ავად გახდა 3, გარდაიცვალა 8.

გუშინ „სათავად-აზნაურო კრებაში“ საერთაშორისო სარკინის გზო კონგრესის დაწყების დროს გზათა უწყების სამინისტროს მმართველმა მისაგებებელი სიტყვა სთქვა. პასუხი გასცა ბელგიის გზების დირექტორმა ბელნერმა; მას შემდეგ საფრანგეთის დელეგატმა პიკარმა განაცხადა, რომ იმედია, რუსეთი პაკლოვსკის მაგიერ სასეირნოდ ჩქარა ვლადივოსტოკში გაგვიწევსო. კონგრესის თავმჯდომარედ ამორჩეულმა გენერალმა პეტროვმა მადლობა გადაუხადა რა კონგრესს, საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა რუსეთში რკინის გზის საქმე. კონგრესის სამუშაო განაწილებულია სექციებად: პირველს ჩაბარებული აქვს გზები, მეორეს—მოძრაობის საქმე, მესამეს—გზებით სარგებლობისა, მეოთხეს—საზოგადო ხასიათის საგნები და მეხუთეს—საეკონომიო საქმე.

მეორე საქველ-მოქმედო ლატარიის ტირაჟი.

ორას ორმოც-და-ათ მანათიანი

| № ბილ. | №№ სერიის | № ბილ. | №№ სერიის | №№ ბილ. | №№ სერიის |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2644 | 7 | 1161 | 12 | 4895 |
| 1 | 2885 | 7 | 1224 | 12 | 5979 |
| 1 | 4405 | 7 | 1610 | 12 | 6024 |
| 1 | 5367 | 7 | 1687 | 12 | 8340 |
| 1 | 6042 | 7 | 2265 | 12 | 10429 |
| 1 | 6324 | 7 | 2922 | 12 | 10727 |
| 1 | 10128 | 7 | 3212 | 13 | 426 |
| 2 | 115 | 7 | 6905 | 13 | 2864 |
| 2 | 4999 | 7 | 8989 | 13 | 3202 |
| 2 | 5290 | 7 | 9202 | 13 | 3857 |
| 2 | 5946 | 7 | 9690 | 13 | 3863 |
| 2 | 10920 | 7 | 10064 | 13 | 5061 |
| 2 | 11233 | 7 | 11666 | 13 | 5195 |
| 3 | 355 | 8 | 2037 | 13 | 6156 |
| 3 | 680 | 8 | 2717 | 13 | 8148 |
| 3 | 982 | 8 | 3933 | 13 | 8680 |
| 3 | 1082 | 8 | 7960 | 13 | 9282 |
| 3 | 1459 | 8 | 8621 | 13 | 9392 |
| 3 | 1823 | 8 | 9285 | 13 | 9955 |
| 3 | 1889 | 8 | 9752 | 13 | 10326 |
| 3 | 2691 | 8 | 9895 | 13 | 11291 |
| 3 | 2781 | 8 | 10516 | 14 | 2176 |
| 3 | 5181 | 8 | 11251 | 14 | 4058 |
| 3 | 5609 | 8 | 11461 | 14 | 4768 |
| 3 | 5638 | 9 | 1240 | 14 | 5936 |
| 3 | 6133 | 9 | 3992 | 14 | 7787 |
| 3 | 6702 | 9 | 6549 | 14 | 8217 |
| 3 | 7007 | 9 | 6983 | 14 | 9284 |
| 3 | 7082 | 9 | 11414 | 14 | 10136 |
| 3 | 7117 | 10 | 103 | 15 | 3581 |
| 3 | 7300 | 10 | 527 | 15 | 3683 |
| 3 | 7351 | 10 | 1172 | 15 | 4070 |
| 3 | 7951 | 10 | 3095 | 15 | 4119 |
| 3 | 8088 | 10 | 3369 | 15 | 4173 |
| 3 | 11106 | 10 | 4571 | 15 | 4500 |
| 4 | 196 | 10 | 4831 | 15 | 5407 |
| 4 | 1216 | 10 | 5075 | 15 | 5895 |
| 4 | 2510 | 10 | 7095 | 15 | 6312 |
| 4 | 3462 | 10 | 8236 | 15 | 7622 |
| 4 | 5923 | 10 | 8549 | 15 | 8224 |
| 4 | 6868 | 10 | 10158 | 15 | 8710 |
| 4 | 7300 | 10 | 10293 | 15 | 8853 |
| 5 | 47 | 10 | 11860 | 15 | 9435 |
| 5 | 528 | 11 | 1114 | 15 | 9770 |
| 5 | 737 | 11 | 2858 | 15 | 11514 |
| 5 | 1946 | 11 | 3044 | 16 | 612 |
| 5 | 6246 | 11 | 3235 | 16 | 2983 |
| 5 | 7564 | 11 | 3344 | 16 | 4423 |
| 5 | 8638 | 11 | 5039 | 16 | 4555 |
| 5 | 9727 | 11 | 5805 | 16 | 9120 |
| 5 | 11481 | 11 | 6780 | 16 | 9808 |
| 6 | 3251 | 11 | 7250 | 16 | 11278 |
| 6 | 3383 | 11 | 9810 | 17 | 569 |
| 6 | 4246 | 11 | 9923 | 17 | 1316 |
| 6 | 6356 | 11 | 10096 | 17 | 1370 |
| 6 | 8088 | 11 | 11937 | 17 | 3106 |
| 6 | 9362 | 12 | 1496 | 17 | 3671 |
| 6 | 9778 | 12 | 1653 | 17 | 3732 |
| 6 | 10961 | 12 | 2315 | 17 | 4733 |
| 6 | 11272 | 12 | 2429 | 17 | 4995 |
| 6 | 11590 | 12 | 3498 | 17 | 5866 |

---

მა ადამისანი.

თავდაპირველი სანიმუშო დეპოკასა სხვათა შორის პრაქტიკული სკოლაც-კი იქნებოდა მომავალი დეპოკასების მოთავე-ზედამხედველებისათვის. რომელ მაზრაშიაც-კი მოიწადინებდნენ პირველად მსგავსის ალებმიცემის დაარსებას, მის მოთავე-ზედამხედველს უწინ სანიმუშო დეპოში გაჰგზავნიდნენ ორიოდე კვირით ალებმიცემის უმთავრესის მოქმედების პრაქტიკულად შესასწავლად, რადგანაც დღეს ჩვენ, ქართველები, ჩვენდა სამწუხაროდ, კომმერციულ განათლებასთან თეორიულადაც-კი დაშორებულნი ვართ. თუმცა-კი ხსენებულ დეპო-კასების საქმეების წარმოება ისეთი რთული და უძნელესიც არ არის, რომ გონება-განვითარებულს ადამიანს გაუჭირდეს მისი შესწავლა და წარმოება. კეთილი წადილი იყოს, თორემ, გარდა შეუძლებელისას, ყველას შესძლებს რიგიანად განვითარებული ადამიანი. მხოლოდ მიუცილებლად საჭიროა დეპო-კასის მოთავეზედამხედველმა წინა დღითვე შეიგნოს და საფუძვლიანადაც შეიგნოს შემდეგი: რა დროს რა და რა საქონელი გადის იმის სამრევლოში, რომ მისგან ნასყიდი საქონელი გამოუსადეგრად არ ეწყოს დეპოს ყაფაზებში, სად უფრო სჯობია საქონლის სყიდვა და არ მოტყუვდეს სყიდვის დროს საქონლის ფასსა და ღირსებაში; დანარჩენს სხვას თვით საქმევე შესაწავლის საქმის მწარმოებლებს და აქ წინა დღითვე ყველაზედ დაწვრილებით ლაპარაკი მეტი გახლდებათ. საქვეყნო დეპოში საზიზღარი ჩინჩაოტობა, თვალების აბმა და ძალად მიჩეჩება ხომ არ იქნება, რომ დეპოს დასჭირდეს შეითანბაზრის დუქნებში გამოქნილი თოხუმები, რომელნიც თითო იმათგანი თითქმის მთელს დღეს ევაჭრება და ეჩინჩაოტება თითო ბეჩავ მუშტარს თვალების ასახვევად. ღმერთმა დაიფაროს! სახალხო დეპოკასას ეჭირება კეთილ-საიმედო, განათლებული მოთავე, შეგნებული და ერთგული თანაშემწე მოთავისა და ისეთი ნოქარი ან ნოქრები, რომელთაც შეეძლოთ კითხვა, რა საქონელს რა ფასი აწერია, იცოდნენ ანგარიში, ზომა, წონა, წყვა და მართებული სიტყვა-პასუხი, რომ ყველა მუშტარი-მრევლი დეპოს პატრონად მიაჩნდეთ და არა თავიანთ თავი—მუშტრის ბატონად, როგორც დღეს ყველა სათოკე სოფლის ჭამია ვაჭარჩარჩებს, რომელნიც მეტის-მეტ საზიზღარ ჩინჩაოტობისაგან ძაღლის ყბებად არიან ნაქცევნი და როცა ისინი მოშლილ წისქვილივით არახუნებენ—ძაღლსაც არ მისცემენ დაუტვების დროს. საჭიროა ესეც გავიხსენოთ, რომ მუშტრებს სრული ნება ექნებათ, ერთმა მეორე საზოგადოების დეპოში ივაჭროს, თუ თავიანთ სამრევლო დეპოში არ მოსწონთ სასყიდელი.

ასე, პირველი სანიმუშო დეპო-კასა იქნებოდა დაარსებული მთელის საქართველოს იმ შეგნებულთა დახმარებით, რომელთაც-კი გულის სიღრმემდის სწვდებათ პოეტის შემდეგი სიტყვა: „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს-კი არარა არგოს!“ ამ სანიმუშო დეპო-კასას მოჰყვებოდა მსგავსი დეპო-კასები თითოეულს მაზრაში ჯერ-ჯერობით თითო მაინც და ბოლოს მაზრის დეპო-კასები გამოიწვევდნენ მრავალ დეპო-კასებს, როგორც სოფლებში, ისეც ქალაქებში,—ეს უეჭვო ჭეშმარიტებაა იმისთვის, ვისაც-კი ისტორია მსოფლიო ცივილიზაციისა გულდაპყრობით შეუსწავლია და მტკიცედ სწამს, რომ, გარდა შეუძლებელისა, შეუძლებელი არა არის-რა ქვეყანაზედ ადამიანთა დაუცხრომელ პროგრესისათვის. შორს რომ არ წავიდეთ მაგალითისათვის, 1869 წ. მთელს რუსეთში არსებობდა მხოლოდ ორი შემნახველ-გამსესხებელი კასა და დღეს-კი იმათი რიცხვი ათას ოთხასია. თუმცა ეს რუსეთისათვის წვეთია ზღვაში, მაგრამ მოიგონეთ, რომ იქ 1883 წლიდამ მთავრობისაგან დაფუძნებული საგლეხო ბანკებიც არსებობს და დღითი დღე მატულობს ხსენებული კასა-ბანკების რიცხვი.

მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17 | 6547 | 29 | 352 | 37 | 10491 |
| 17 | 9307 | 29 | 3224 | 37 | 11393 |
| 17 | 11171 | 29 | 3854 | 37 | 11859 |
| 18 | 402 | 29 | 7175 | 38 | 226 |
| 18 | 1016 | 29 | 7708 | 38 | 303 |
| 18 | 2741 | 30 | 223 | 38 | 2413 |
| 18 | 8127 | 30 | 4466 | 38 | 3314 |
| 18 | 8205 | 30 | 4600 | 38 | 3646 |
| 18 | 8870 | 30 | 5434 | 38 | 4499 |
| 18 | 9153 | 30 | 6392 | 38 | 5342 |
| 18 | 9630 | 30 | 6436 | 38 | 7208 |
| 18 | 10285 | 30 | 9106 | 38 | 8855 |
| 18 | 10779 | 30 | 9595 | 38 | 9208 |
| 18 | 11998 | 30 | 9752 | 39 | 1927 |
| 19 | 2124 | 31 | 698 | 39 | 3991 |
| 19 | 2460 | 31 | 2817 | 39 | 4001 |
| 19 | 4957 | 31 | 3015 | 39 | 5366 |
| 19 | 6356 | 31 | 3842 | 39 | 7725 |
| 19 | 7320 | 31 | 4529 | 39 | 9058 |
| 19 | 8409 | 31 | 6258 | 39 | 10703 |
| 19 | 11014 | 31 | 6769 | 40 | 2023 |
| 20 | 5839 | 31 | 7418 | 40 | 2052 |
| 20 | 6608 | 31 | 7690 | 40 | 2546 |
| 20 | 9108 | 31 | 9077 | 41 | 288 |
| 20 | 9469 | 31 | 9630 | 41 | 570 |
| 20 | 9649 | 31 | 9869 | 41 | 1758 |
| 20 | 11759 | 31 | 10936 | 41 | 1856 |
| 20 | 11811 | 32 | 377 | 41 | 2567 |
| 21 | 736 | 32 | 444 | 41 | 5451 |
| 21 | 1667 | 32 | 886 | 41 | 5809 |
| 21 | 4182 | 32 | 1295 | 41 | 5918 |
| 21 | 10102 | 32 | 1844 | 41 | 5920 |
| 21 | 10122 | 32 | 4293 | 41 | 6118 |
| 22 | 1715 | 32 | 5450 | 41 | 7288 |
| 22 | 1789 | 32 | 6978 | 41 | 7743 |
| 22 | 1940 | 32 | 8397 | 41 | 7757 |
| 22 | 2686 | 32 | 8593 | 41 | 8079 |
| 22 | 3196 | 32 | 8747 | 41 | 8660 |
| 22 | 3603 | 32 | 10644 | 41 | 9018 |
| 22 | 3673 | 32 | 11229 | 41 | 9023 |
| 22 | 5895 | 32 | 11627 | 41 | 9031 |
| 22 | 7201 | 33 | 1205 | 41 | 11118 |
| 22 | 7643 | 33 | 1716 | 41 | 11635 |
| 22 | 8928 | 33 | 3088 | 42 | 3552 |
| 22 | 10262 | 23 | 5103 | 42 | 4333 |
| 22 | 11322 | 33 | 7143 | 42 | 8807 |
| 22 | 11573 | 33 | 10961 | 42 | 9043 |
| 23 | 2440 | 33 | 11059 | 42 | 9255 |
| 23 | 4198 | 34 | 2684 | 42 | 10187 |
| 23 | 4612 | 34 | 4243 | 42 | 10907 |
| 23 | 5032 | 34 | 6954 | 43 | 203 |
| 23 | 5895 | 34 | 7379 | 43 | 1312 |
| 23 | 8127 | 34 | 9916 | 43 | 3993 |
| 23 | 8989 | 34 | 9965 | 43 | 6999 |
| 23 | 10639 | 34 | 10377 | 43 | 7229 |
| 24 | 186 | 34 | 11930 | 43 | 7992 |
| 24 | 1146 | 35 | 453 | 43 | 9101 |
| 24 | 2039 | 35 | 801 | 43 | 10022 |
| 24 | 2861 | 55 | 1173 | 43 | 10666 |
| 24 | 4002 | 35 | 1380 | 44 | 1444 |
| 24 | 5537 | 35 | 2316 | 44 | 2506 |
| 24 | 6980 | 35 | 2464 | 44 | 4791 |
| 25 | 4065 | 35 | 3208 | 44 | 4922 |
| 25 | 4437 | 35 | 4046 | 44 | 9286 |
| 25 | 7265 | 35 | 6337 | 44 | 10608 |
| 25 | 7888 | 35 | 6886 | 44 | 11861 |
| 26 | 2474 | 35 | 7758 | 45 | 4340 |
| 26 | 3778 | 35 | 8474 | 45 | 5328 |
| 26 | 4870 | 35 | 8767 | 46 | 2453 |
| 26 | 4097 | 35 | 8920 | 46 | 2933 |
| 26 | 6563 | 35 | 9315 | 46 | 3711 |
| 26 | 7952 | 35 | 9358 | 46 | 4073 |
| 26 | 8857 | 35 | 9621 | 46 | 6483 |
| 26 | 9019 | 35 | 9695 | 46 | 7601 |
| 27 | 617 | 35 | 11958 | 46 | 7982 |
| 27 | 785 | 36 | 1028 | 46 | 8335 |
| 27 | 4426 | 36 | 1236 | 46 | 8360 |
| 27 | 4676 | 36 | 2836 | 46 | 8866 |
| 27 | 5432 | 36 | 5684 | 46 | 9603 |
| 27 | 5733 | 36 | 5739 | 46 | 10792 |
| 27 | 6552 | 36 | 7994 | 46 | 11115 |
| 27 | 7517 | 36 | 8629 | 46 | 11435 |
| 27 | 8317 | 36 | 11341 | 47 | 1698 |
| 27 | 9848 | 36 | 11416 | 47 | 4139 |
| 28 | 1839 | 36 | 11934 | 47 | 5996 |
| 28 | 2495 | 37 | 19 | 47 | 6827 |
| 28 | 2747 | 37 | 958 | 47 | 7949 |
| 28 | 3435 | 37 | 1530 | 47 | 9029 |
| 28 | 4763 | 37 | 3748 | 48 | 299 |
| 28 | 6289 | 37 | 4172 | 48 | 2498 |
| 28 | 8674 | 37 | 5733 | 48 | 4171 |
| 28 | 10260 | 37 | 6797 | 48 | 6983 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 48 | 7115 | 51 | 3757 | 53 | 9626 |
| 48 | 7709 | 51 | 8286 | 53 | 10596 |
| 48 | 11597 | 51 | 8795 | 53 | 10686 |
| 48 | 11781 | 51 | 10386 | 53 | 10891 |
| 49 | 2469 | 52 | 1058 | 53 | 11652 |
| 49 | 2764 | 52 | 1124 | 54 | 867 |
| 49 | 3612 | 52 | 1466 | 54 | 1149 |
| 49 | 4576 | 52 | 4810 | 54 | 2128 |
| 49 | 5722 | 52 | 5804 | 54 | 2215 |
| 49 | 7622 | 52 | 7813 | 54 | 2730 |
| 49 | 7841 | 52 | 8223 | 54 | 3644 |
| 49 | 8197 | 52 | 8811 | 54 | 4173 |
| 49 | 8528 | 52 | 9455 | 54 | 4650 |
| 49 | 9382 | 52 | 11002 | 54 | 4811 |
| 49 | 10161 | 52 | 11708 | 54 | 5276 |
| 49 | 11035 | 53 | 145 | 54 | 5971 |
| 50 | 5895 | 53 | 535 | 54 | 7737 |
| 50 | 6210 | 53 | 2022 | 54 | 9968 |
| 50 | 7787 | 53 | 3629 | 55 | 42 |
| 50 | 8771 | 53 | 4033 | 35 | 1252 |
| 50 | 9771 | 53 | 5359 | 55 | 1394 |
| 50 | 10357 | 53 | 6208 | 55 | 3588 |
| 50 | 11717 | 53 | 6375 | 55 | 3763 |
| 51 | 713 | 53 | 6406 | 55 | 5607 |
| 51 | 2773 | 53 | 7055 | 55 | 6809 |

(შემდეგი იქნება)

### პეტერბურგის ბირჟა, აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,80 | 7,85 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 156 | 157 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5°/₀ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¹/₄ |
| —მეორისა . . . . | 223 | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 192³/₄ | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6°/₀. . . . . . | 102¹/₄ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 99¹/₂ | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/₀. | 102¹/₄ | — ,, | — ,, |
| 5°/₀. . . . . . | 99³/₄ | — ,, | — ,, |
| 5°/₀ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98¹/₂ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

### რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

#### ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

#### ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

#### ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაით.

#### ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

---

### ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

---

## განცხადებანი


### კბილის ექიმი
### ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე. საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—89)



ქ. ოზურგეთში

გამოვიდა და ისყიდება კ. თავართქილაძის მიერ გამოცემული შემდეგი ახალი წიგნები: მ. კ.

1) „ამპარტავანი გიორგი“ გარშინისა . . „ 5

2) „ჩხუბი ერთი კვერცხისათვის“ ტოლსტოისა . „ 5

3) „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ ოცხანელისა . „ 5

4) „ქართულ ანდაზების ლოტო“ ნ. ო—შვილისა. „ 80

5) „რავდენიმე მოთხრობა“ (გურიის ცხოვ.) ე. ნინოშვილისა . . „ 50

6) „სიმონა“ მოთხრობა (გურიის ცხოვ.) მისივე . „ 30

7) „ვეფხის-ტყაოსანი“ მეორედ გამოცემა ოზურგეთში სურათით . . „ 40

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოზურგეთში გამომცემელს, ტფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, გორში, სამტრედიაში, ხონში და სოხუმში ყველა წიგნის მაღაზიებს. ყვირილაში ი. კაკაბაძეს, ბათუმში ბ. კალანდაძეს, ქუთაისსა და რიონს შუა ხეთერელს, განჯაში ს. დოლიძეს და ახალსენაკში ბ. მიქაძეს და აგრეთვე გურიის ყველა მასწავლებლებთან.



### განცხადება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა.

1892 წლის პირველის ენკენისთთვიდგან იხსნება ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში (რომელიც შესდგება ამ ჟამად ოთხის მოსამზადებლის და სამის პროგიმნაზიულის კლასისაგან) მეოთხე პროგიმნაზიული კლასი.

სკოლა ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის პირველ, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე კლასისათვის, რეალურ სასწავლებლის პირველის კლასისათვის, და კორპუსისთვის. ქართულს ენას გარდა, სკოლის პროგრამა სრულიად ეთანხმება აღნიშნულ სასწავლებლების პროგრამას.

მომავალ ენკენისთთვისათვის სკოლაში არის სულ 50 ვაკანსია: პირველს განყოფილებაში — 29, მეორე განყოფილებაში — 8, მესამე განყოფილებაში — 4, მეოთხე განყოფილებაში — 2. და პირველს კლასში — 7. დანარჩენ კლასებში არ არის ვაკანსია.

ზემო აღნიშნულ რიცხვიდგან (50) ორმოც-და-ცხრა (49) დანიშნულია გარედგან მოსიარულეებისათვის და ერთი (1) პანსიონში შემომსვლელთათვის. ეს ერთი ვაკანსია, გამგე კომიტეტის გარდაწყვეტილების თანახმად, ეკუთვნის ტფილისის მაზრის თავად-აზნაურობას, საიდგანაც მიღებულ იქმნება ერთი ღარიბ თავად-აზნაურთაგანი საზოგადოების სრულს ხარჯზედ.

რაიცა შეეხება იმათ, ვისაც სრულს საკუთარს ხარჯზე სურს შემოსვლა პანსიონში ან ნახევარს ხარჯზე (პირველნი იხდიან წელიწადში ოცთუმანს და მეორენი—ათს), წელს სკოლის მთავრობა, სამწუხაროდ, ვერ დააკმაყოფილებს მათს თხოვნას, რადგან ამ ჟამად პანსიონში ყველა ვაკანსიები დაჭერილია, გარდა ერთისა, რომელიც, როგორც მოხსენებული ზემოდ, დაინიშნა ტფილისის მაზრისათვის. მსურველთ შეუძლიანთ შემოვიდნენ სკოლაში მხოლოდ გარედგან მოსიარულეებად, როელთათვის დანიშნულია 49 ვაკანსია.

თუ ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ მარიამობისათვის უკანასკნელ რიცხვებში და ან ენკენისთვის განმავლობაში ზეც ისუფლდა რამდენიმე ვაკანსია, მაშინ კიდევ შეიძლება მიღებულ იქმნნთ პანსიონში იმდენი მოწაფე, რამდენიც ვაკანსია დაიცლება.

პირველ განყოფილებაში მიიღებიან ყმაწვილები არა უმეტეს 8 წლისა.
მეორე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 9 წლისა.
მესამე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 10 წლისა.
მეოთხე განყოფილებაში „ „ არა უმეტეს 11 წლისა.
და პირველს კლასში „ „ არა უმეტეს 12 წლისა.

შემომსვლელთათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

1) მეტრიკის მოწმობა, 2) ყვავილის აცრის მოწმობა და 3) ვისაც საზოგადოების სრულს ხარჯზედ უნდა შემოსვლა, გარდა ხსენებულ დოკუმენტებისა, უნდა წარმოადგინოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის მოწმობა, რომლის ბანკის დამფუძნებელთაგანია და აგრეთვე მაზრის მარშალისაგან სიღარიბის მოწმობა. ესევე საბუთებია საჭირო იმათთვისაც, ვინც საზოგადოების ნახევარ ხარჯზედ შემოდის, თვინიერ ბანკის მოწმობისა.

ვისაც სკოლაში შემოსვლა ჰსურს, წლოვანობის შესაფერი ეგზამენი უნდა დაიჭიროს. ვინც დროზედ დოკუმენტებს ვერ წარმოადგენს, ეგზამენის დაჭერის ნება არ მიეცემა და, თუ საზოგადოების ხარჯზედ შემოდის, კენჭიც არ ჩამოეტარება.

თხოვნის მიღება დოკუმენტებითურთ შეიძლება დღიდგან გამოცხადებისა მარიამობისთვის 26 რიცხვამდის. ტფილისს გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Инспектору Тифлисской Дворянской школы, на Лабораторной, въ д. Гургенбекова.

მისაღები ეგზამენი და ხელმეორედ გამოცდა დაიწყება მარიამობისთვის 26 რიცხვიდგან და გაგრძელდება პირველს სექტემბრამდის.

გარედგან მოსიარულეთათვის სწავლის ფასი თორმეტი მანეთია. როგორც გარედგან მოსიარულე, ისე პანსიონერი მოვალეა დაწესებულ ფულის ნახევარი შემოსვლისათანავე შემოიტანოს და ნახევარი იანვარში.

მშობელნი ვალდებულნი არიან, რომ მათი შვილები სუფთად იყვნენ ჩაცმულნი თანახმად სკოლის მოთხოვნილებისა და საჭირო სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთები არ აკლდეთ. ამიტომ, ვინც მშობელთაგანი ტფილისში არა სცხოვრობს მუდამ, ვალდებულია, თავის მაგიერ ვინმე ტფილისში მცხოვრებთაგანი წარმოადგინოს თავდებად, რომელიც მოვალე იქნება აღასრულოს სკოლის ყველა მოთხოვნილება შესახებ მოწაფისა, რომელსაც ჰთავდებობს.

(4—3)



წიგნის გამომცემელ ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

ახალი წიგნი

ვახუშტი ბატონიშვილი

## საქართველოს

გეოგრაფია

1 წიგნი

## სამცხე

ვახუშტის საზოგადო „შესავალი“-თურთ.

გამოცემა

მოსე ჯანაშვილისა

ფასი 25 კაპ.